88.439
F 3032 13336


# ჩვენი ცხოვრება

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი

კვირა 25 თებერვალი 1907 წ.

წელიწადი 1.

№ 7 ყოველ დღიური გაზეთი. № 7



მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე:

## ჩვენ ცხოვრებაზე

აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

**გაზეთი ეღირება:**

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 5 მ. | წლიურათ | 6 მ. |
| ექვსი თვით | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

**ცალკე ნომერი 3 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба". რედაქციის—ელისაბედის ქ. № 88.

**ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე"-ში.** მიხეილის ქ. № 40.


## ლიბერალური ბურჟუაზია და რუსეთის რევოლიუცია.

(გაგრძელება)

მაშ ასე. ლიბერალური ბურჟუაზია რევოლიუციას ებრძვის. მისი დამცველი კადეტები ძევნებულათ ანტი-რევოლიუციონერობენ. მართალია, ისინი ებრძვიან რეაქციას, მაგრამ უფრო მაგრა ებრძვიან რევოლიუციას. მართალია, მათ „ეჯავრებათ აბსოლიუტიზმი, მაგრამ **უფრო ძალიან ეჯავრებათ რევოლიუცია**" (იხ. „Движ. силы" კ. კაუცკი).

შეიძლება ამისთანა ხალხს მხარი დაუჭიროს პროლეტარიატმა, როცა ისინი ძირს უთხრიან რევოლიუციას, როცა ისინი ღალატობენ პროლეტარიატს?

გვეუბნებიან, რომ შეიძლებაო. რატომ? იმიტომ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია, მიუხედავათ მისი არა-რევოლიუციონერობისა,—ოპოზიციაში უდგია რეაქციას; იმიტომ, რომ ამ ბურჟუაზიის წარმომადგენელი კადეტები, მიუხედავათ მათი ღალატისა,—ოპოზიციურათ ეირძვიან ძველ მთავრობას; მათი ოპოზიციონერობა კი აუცილებლათ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა: ჯერ კიდევ მარქსმა გვასწავლა, რომ ბურჟუაზიას მხარს უნდა ვუჭერდეთ, რამდენათაც ის ოპოზიციაში უდგია რეაქციასო.

ასე ლაპარაკობენ ამხ. მენშევიკები.

გავარჩიოთ ეს საბუთები. ყველაზე პირველათ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამხ. მენშევიკები ამახინჯებენ მარქსის სიტყვებს. მარქსს არას დროს არ ურჩევია პროლეტარიატისთვის ბურჟუაზიული **ოპოზიციის** მხარის დაჭერა რევოლიუციონურ ხანაში. მარქსი მხოლოთ რევოლიუციონურ ბურჟუაზიაზე უთითებდა პროლეტარიატს და ურჩევდა: მხარი დაუჭირე ბურჟუაზიას მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ის **რევოლიუციონურიაო**. რევოლიუციონერობა და ოპოზიციონერობა კი ერთი და იგივე არ არი. აი მარქსის სიტყვებიც:

„გერმანიაში კომუნისტური პარტია (ე. ი. სოც.-დემოკრატია) ბურჟუაზიასთან ერთათ იბრძვის იმდენათ, რამდენათაც ბურჟუაზია **რევოლიუციონურია** მის ბრძოლაში წინააღმდეგ აბსოლიუტური მონარქიისა, ფეოდალური საკუთრებისა და წვრილი მეშჩანებისა" (იხ. „Комун. манифестъ". უკანასკნელი თავი).

როგორცა ხედავთ, მარქსს რევოლიუციონური ბურჟუაზია ჰქონია სახეში (როგორიცაა, მაგალითათ, ესერები), და არა ოპოზიციონური ბურჟუაზია. კადეტები კი ანტირევოლიუციონერები არიან, ისინი კი მხოლოთ ოპოზიციონერები არიან, და არა რევოლიუციონერები. და ეს იმიტომ, რომ კადეტები რევოლიუციონურათ არ ებრძვიან რეაქციას,—ისინი მხოლოთ პეტიციებით ებრძვიან რეაქციას და შემდეგ **ურიგდებიან მას.** და ის იმიტომ, რომ კადეტები რევოლიუციონურათ არ ებრძვიან ფეოდალურ საკუთრებას,—ისინი მხოლოთ ნიწების გამოყიდვაზე ლაპარაკობენ და, სამაგიეროდ, **ძირიანათ უაჰყოფენ** „ყველა მიწების" უსასყიდლოთ ჩამორთმევას...

ცხადია, ამხ. მენშევიკები ტყუილათ ეპოტინებიან კ. მარქსს: კ. მარქსის სიტყვები ხელაღებით უარჰყოფს კადეტების მხარის დაჭერას, კ. მარქსი ხელაღებით უარჰყოფს მენშევიკურ ტაქტიკას...

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ, ვითომ, ბურჟუაზიულ ოპოზიციას **არას დროს** არ უნდა დაუჭიროს მხარი პროლეტარიატმა. სრულიადაც არა! დავანებოთ თავი იმ სიმართლეს, რომ კითხვის ასე დაყენება არ შეეფერება სოციალდემოკრატიას, რომ სოციალდემოკრატია, რომელიც ყველაფერს დიალექტიურის თვალით უყურებს,—დროსა და გარემოების შესაფერ სჭრის კითხვას. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ რევოლიუციონური და ოპოზიციონური მომენტი. ჩვენში რომ ახლა ოპოზიციონური მომენტი იყოს, ჩვენში რომ რევოლიუცია არ ბობოქრობდეს, ბრძოლის ველზე რომ მარტო სოც.-დემოკრატები და კადეტები იდგნენ რეაქციის წინააღმდეგ,—მაშინ რა თქმა უნდა, სოციალდემოკრატია შეს დებოდა, თუ კადეტებს მხარს არ დაუჭერდა. მაგრამ საქმე სწორეთ იმაშია, რომ დღევანდელი მომენტი რევოლიუციონურია და არა ოპოზიციონური. საქმე სწორეთ იმაშია, რომ ოპოზიციონურ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გარდა, რევოლიუციონური ბურჟუაზიაც გამოვიდა ბრძოლის ველზე. დიახ, საქმე იმაშია, რომ სოციალდემოკრატიას მარტო კადეტებთან არა აქვს საქმე, რომლებიც **ოპოზიციონურ** ბურჟუაზიას იცავენ,—მას საქმე აქვს აგრეთვე ტრუდოვიკებთან და ესერებთან, რომლებიც **რევოლიუციონურ** ბურჟუაზიას იცავენ.

ეს კი ძირიანათ სცვლის გარემოებას. ვთქვათ, ტრუდოვიკი აყენებს კითხვას მთელი მიწების უსასყიდლოთ ჩამორთმევაზე. მას ხმას აძლევს რევოლიუციონური გლეხობა. კადეტი კი უარჰყოფს ამას და მიწების გამოყიდვას ემხრობა. ვის დავუჭიროთ მხარი: ტრუდოვიკს თუ კადეტს, რევოლიუციონურ წინადადებას, თუ ოპოზიციონურს? რა თქმა უნდა, ტრუდოვიკს, რა თქმა უნდა, რევოლიუციონურ წინადადებას—გვიპასუხებს მკითხველი. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ დღეს, დღევანდელ მომენტში, გლეხების მხარის დასაჭერად, სოც.-დემოკრატია ვალდებულია უარჰყოს კადეტების მხარის დაჭერა.

მეორე მაგალითი. ვთქვათ, პაწია რეფორმების გულისთვის, კადეტები რეაქციასთან მორიგებაზე აყენებენ კითხვას. ტრუდოვიკები უარჰყოფენ ამას და რეაქციასთან ბრძოლას ემხრობიან. მათ ხმას აძლევენ გლეხები. ვის დავუჭიროთ მხარი: ტრუდოვიკებს—წინააღმდეგ კადეტებისა, თუ კადეტებს წინააღმდეგ ტრუდოვიკებისა? უკვე უთქვამს სხვა ლოზუნგებზე შესახებ საარჩევნო უფლებისა, სიტყვის-ბეჭდვის-კავშირის-გაფიცვის თავისუფლებისა და სხვა. ცხადია ტრუდოვიკ-ესერების ლოზუნგები უფრო შეეფერება რევოლიუციონურ მომენტს და, ამიტომ, ყველგან ეწინააღმდეგება კადეტების ანტირევოლიუციონურ ლოზუნგებს, რის გამოც სოციალდემოკრატია ვალდებულია ტრუდოვიკებს დაუჭიროს მხარი წინააღმდეგ კადეტებისა.

რევოლიუციონურ გლეხებთან, თუ ანტირევოლიუციონურ კადეტებთან? ასე გვიყენებს კითხვას დღევანდელი მომენტი.

---

## პრესა

**გაზეთი „ტელეგრაფი" ასე აწერს არჩევნებს პეტერბურგში:** „...ბოლოს როგორც იყო გამოცხადდა არჩევნების შედეგი. ამრჩეველმა მუშებმა და მემარცხენე ნოქრებმა, (კადეტებთან ერთათ 162 ხმა) ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, წამოაყენეს გ. ა. ალექსინსკის კანდიდატურა... დაიწყო არჩევნები... ალექსინსკიმ, მიიღო 162 თეთრი და 7 შავი. კადეტების კანდიდატებმა კი—144... ფოტოგრაფი მოუწოდებს დეპუტატებს ჯგუფათ გადასაღებად.

—ბ. ალექსინსკი, მობრძანდით...

მუშა-ამრჩევლები პროტესტს აცხადებენ:—არა გვსურს, უკრძალავთ ჩვენს დეპუტატს კადეტებთან ერთად სურათის გადაღებას!

კადეტები ცალკე გადიღეს, ამრჩეველი—მუშები და დეპუტატი—ალექსინსკი ცალკე.

კორესპოდენტების დიდი ჯგუფი შემოეხვია ალექსინსკის; სთხოვენ ბიოგრაფიულ ცნობებს.

დეპუტატს ირონიულათ ეღიმება და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისვრის სიტყვებს:

—დავიბადე 1879 წელს. ვსწავლობდი მოსკოვის უნივერსიტეტში. 1899 წელს გამომაგდეს... 1901 წ.—კიდევ. 1902 წელს ვიჯექი ციხეში ექვს თვეს, მერმეთ სულ თავი დავანებე. ვმუშაობდი ს.-დ. პარტიაში, ვწერდი ბოლშევიკურ გამოცემებში, მაგრამ გთხოვთ არ აურიოთ მენშევიკურ გამოცემებში კი არა! მეტი არაა საჭირო!

**„რუსის"** წარმომადგენელს არ მივეცი ცნობა, რადგან ამ გაზეთს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, მუშებმა ამიკრძალეს...

სკამზე ადის მუშა.

— ბატონო, ამრჩევლებო! საჭიროა ვთხოვოთ ჩვენს დეპუტატებს, რომ იშუამდგომლონ და განათავისუფლონ საარჩევნო აგიტაციის დროს დაჭერილები!

— ვთხოვთ, ვთხოვთ!

— მუშების წარმომადგენლებისათვის ეს არ კმარა. საჭიროა საერთო დადგენილება.

— ეს გადაწყვეტილი იყო დღეს.

— ჩვენ, მუშებმა არ ვიცით. გთხოვთ ასწიოთ ხელი!

ყველანი, როგორც ერთი, სწევენ ხელს,

მთელი ეს არჩევნების პროცედურა ... ტების ბანაკში გაისმოდა ჩურჩული:

— ჩვენ დაპირებისამებრ ჩაუგდეთ თეთრი კენჭი ალექსინსკის, მაგრამ ეგენი მარტო ალექსინსკის რათ აძლევდნენ თეთრ კენჭს, და ჩვენ კი-შავს?

პეტერბურგმა გაათავა თავის საქმეო, დასკვნის გაზეთი.

აღწერს რა ამ სურათს, **„ტელეგრაფი"**, ალექსინსკიზე ამბობს„:

— დუმის წევრად მუშებიდან პეტერბურგში არჩეულია ალექსინსკი; მრავალ სტუდენტებს ახსოვს მისი პატარა მოძრავი ფიგურა. ყოველგან, სადაც კი პროტესტი მწიფდებოდა ალექსინსკი თავის მოწამლულ და მახვილ სიტყვით ამტვრევდა ყოველ ზომიერ ოპოზიციას. უიმისოთ ერთი კრება არ ყოფილა. ის იყო საუკეთესო საყვარელი ორატორი მემარცხენე სტუდენტებისა. მისი მკაცრი ირონია, მისი ცოცხალი ფრაზა დიდხანს იქნება აღბეჭდილი სტუდენტთა გონებაში. ის საშინლად არ უყვარდათ მემარჯვენეებს და ზომიერებს; ალექსინსკზე „შეუბრალებელი და ბოროტი" მათთვის არავინ ყოფილა. გაზეთი დასძენს: ეხლა ის დუმის წევრია. დიახ, დუმის წევრი. მე ვნახე, რა საქმიანათ და ყურადღებით ეპყრობიან მას მუშა—ამრჩევლები.

მაგრამ რას მოუტანს ის დუმას?

ივარგებს ის ორგანიულ მუშაობისათვის თუ მხურვალე პარტიული მუშაკი იქნება, დემაგოგი enfant terible დუმისა?..

ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მისი მახვილი, შეუბრალებელი, ირონიით გამსჭვალული სიტყვა არა ერთხელ დაიჭექს ტავრიდის სასახლეში.

---

## ახალი ამბავი

გუშინ, 24 თებერვალს, დილის 10 საათზე, ქუთაისში, როცა სახელმწიფო ხაზინადარს საფოსტო განყოფილებიდან, საერობო დარაჯების თანხლებით, ხაზი-

[stamp]

ნაში ფულის მიჰქონდათ, თბილისის ქუჩაზე მას თავს დასხმია რამდენიმე შეიარაღებული კაცი და სროლა აუტეხიათ. უსვრიათ სამი ყუმბარა. მოკლულია ორი საურო ო დარაჯი; დაჭრილია: თვითონ ხაზინადარი, რამდენიმე საეროზო დარაჯი და შემთხვევით გამვლელი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ფალავა. უცნობებს გაუტაცნიათ 15,000 მან. და მიმალულან.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ინჟენერ ა. ა. კურჩინსკის და ამხ. შეუდგნენ თბილის-კავკავ-ბესლანის ელექტრონის რკინის გზის გაყვანის საჭიროების გამოკვლევას. როგორც გავიგეთ, ხსენებულ გზის გაყვანა დაახლოვებით 15 მილიონი მან. დაჯდება და ოთხი წლის განმავლობაში დამთავრდება.

✦ დღეიდან, ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახლში, სურათების გამოფენა დაიწყება, რომელსაც კავკასიის ხელოვან-მხატვართა დამხმარე საზოგადოება მართავს.

✦ თბილისის ქალაქის გამგეობამ, ღარიბთა თავშესაფარში მყოფთათვის ცხელი საჭმლის მისაწოდებლათ, 100 მან. გადასდო.

✦ თბილისის ქალაქის გამგეობას ამ დღეებში სხდომა ჰქონდა, სადაც დაესწრნენ ქალაქის ხმოსნები: ვართანოვი, ი. მ. დოლუხანოვი, თავ. მიქელაძე და ზოგიერთ ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლები. განხილულ და მოწონებულ იქმნა წესდება „თბილისის შრომის ბირჟის“ მოქმედების შესახებ. გადაწყდა ახლო მომავალში ეს წესდება თბილისის საბჭოს წარედგინოს დასამტკიცებლად. წლიური ხარჯი ამ ბირჟის შესანახათ გადაწყვეტილია 3210 მან., აქედან სადგომის ქირა—600 მანეთი, უფროს გამგეს—600 მან., ... მან., განათება-გათბობა—150 მან. და კანცელიარიის საჭიროება—200 მან. წელიწადში..

## პარტიის ცხოვრება

—

**თბილისის ბალშევიკების რეზოლიუცია „სახელმწიფო სათათბიროზე და ჩვენს ტაქტიკაზე“.** მეორე სახელმწიფო სათათბიროს, მოწვეულს ძველი მთავრობის მიერ, არჩეულ სენატ-სტოლიპინის განმარტებათა კვალობაზე, იმ დროს, როცა გარშემო საზხედრო-საველე სასამართლოები მძვინვარებენ, და როცა სრულიად აკრძალულია სიტყვიერი და ბეჭდვითი საარჩევნო აგიტაცია, არ შეუძლიან ნამდვილი ხალხის წარმომადგენლობა გასწიოს. მას, მთელათ აღებულს, შეუძლიან მხოლოთ მეფაბრიკეები და მებატონეების ლიბერალურ ნაწილის ინტერესთა, მისწრაფებათა გამომხატველი შეიქნეს.

იწვევს რა ასეთ სათათბიროს, ძველ მთავრობას სურს მორიგება გამართოს ლიბერალურ-მონარქიულ ბურჟუაზიასთან მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ; ის დღეს უკვე დაფარულ მოლაპარაკებაშია ხსენებულ ბურჟუაზიის ლიდერებთან.

ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზია—უმთავრესათ კადეტების პირით—უარს ჰყოფენ უწინდელს, ცოტათ თუ ბევრათ, ოპოზიციონურ ნაბიჯებს (როგორიც არის მაგალ. ვიბორგის მოწოდება), დამფუძნებელ კრების ლოზუნგს, რომელსაც ის წინათ აღიარებდა, უკვე უარჰყოფს; დღეს ის სამღვდელოებასთან დაახლოვებას სცდილობს და მშვიდობიან განახლების პარტიასთან მოფერებას იწყებს; თვისი ლიდერის პ. სტრუვეს პირით ის უკვე აცხადებს, საჭიროა მორიგება უზენაეს მთავრობასთანო და ყველა ამით ის წინ ეგებება ძველი მთავრობის [illegible] რე რამ ნაბოძებით ალაგმოს ისინი და რევოლიუცია ჩააქროს.

ამავე დროს, რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც უფრო და უფრო იზრდება, გადაჭრით აყენებს მახლობელ მიზნად რეაქციის ძალით დამხობას, სახალხო დამფუძნებელ კრების მოწვევას და თვის მეთაურათ სოციალისტური პროლეტარიატი გამოჰყავს.

ყველა ეს თვალ-საჩინოთ ხდის იმას, რომ სათათბირო მთელათ ვერ შეიქნება რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრად, რომ ის არც მოინდომებს და ვერც შეიძლებს რუსეთის დიდ რევოლიუციის ძირითად კითხვების გადაჭრას; რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოთ, როგორც აგიტაციონური იარაღი მუშათა მასის წინაშე იმ წინააღმდეგობათა გასარკვევათ, რომლებიც ვითარდებიან, გროგორც რეაქციისა (მის მოსალოდნელ მოკავშირე კადეტებითურთ) და რევოლიუციონურ ხალხს შორის, ისე მთელს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

ყველა ნათქვამის გამო წინადადებას ვიძლევით აღიარებულ იქნას, რომ:

1) ჩვენი დეპუტატები მოვალენი არიან არამც თუ მონაწილეობა არ მიიღონ კანონს-დაქვემდებარებულ საკანონმდებლო მუშაობაში, არამედ ხელი შეუშალონ მას, მის მუხანათურ მიზნის გამოაშკარავებით, იმ ელემენტების ჩამოშორებით ლიბერალურ-მონარქიულ ბურჟუაზიისაგან, რომლებიც რყევაში არიან, მასისადმი ხშირი მიმართვით და სხვ. და სხ.

2) არა შემთხვევაში მხარი არ დაუჭირონ სათათბიროს წინაშე პასუხის მგებელ და კამარილას მიერ დამტკიცებულ სამინისტროს მოთხოვნას, როგორც ლოზუნგს, რომელიც ძალა-უფლების დაპყრობის რევოლიუციონურ იდეის შეცვლაა სამინისტრო პორტფელებზე ვაჭრობის ანტი-რევოლიუციონური იდეით.

3) რაც შეიძლება სავსებით გამოყენებულ იქნას სათათბიროს ტრიბუნა სოციალიზმის და კლასთა ბრძოლის იდეის გასავრცელებლად მუშათა ფართო მასსებს შორის.

4) ეცადოს გლეხკაცობის და ქალაქის
ღარიბ-ღატაკ ხალხის რევოლიუციონურ
წარმომადგენელთა მჭიდროთ შემოკავში-
რებას, მათ რევოლიუციონურ მოთხოვ-
ნილებათა სისტემატიურ მხარის დაჭერით,
მათთან ერთათ ლიბერალურ-მონარქიულ
ბურჟუაზიის წინააღმდეგ გალაშქრებით,
და ამით ხელი შეუწყონ რევოლიუციო-
ნურ დემოკრატიულ ძალთა შემოკრებას
სათათბიროს გარეთ, სოციალისტურ პრო-
ლეტარიატის გარშემო.

5) ხაზგასმით აღნიშნონ ძველი რე-
ჟიმის ძალით გაუქმების და დემოკრა-
ტიულ რესპუბლიკის დაარსების აუცი-
ლებლობა, როგორც მორიგი მიზნები
დღევანდელ მომენტისა.

6) სისტემატიურათ ნათელჰყონ სათა-
თბიროს უძლურება.

7) ამხილონ ანტი-რევოლიუციონური
ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზია.

თუ ვინიცობაა რევოლიუციონური
ტალღები მაღლა აიწევენ, მოიწოდონ
მუშათა, გლეხთა, სალდათთა მასსები რე-
აქციასთან გადამჭრელ ბრძოლისათვის
საზოგადოთ და, კერძოთ სათათბიროს
წასალეკად, ეცადონ მწყობრი ხასიათი
მისცენ ამ ბრძოლას და მით მოაახლო-
ვონ რევოლიუციის გამარჯვების მო-
მენტი.

## პროვინცია

—

**ს. ნიჩბისი.** (გორის მაზრა.). ის გაჭირვება, რომელსაც დღეს ნიჩბისის საზოგადოება იტანს მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისისაგან, ძნელია ასაწერათ.

ეს ვაჟბატონი სულ ერთი თვე არის რაც ამ სოფელს ეწვია, მაგრამ თავისი უმსგავსო საქციელით ისე მოაბეზრა თა[illegible] ხალხმა უფიქრებელი რამ იფიქროს.

ბევრი დრო რომ არ დავკარგოთ მისი მოღვაწეობის დასურათებაზე, მოკლეთ ვიტყვი მის მოქმედებას.

# ფელეტონი

**ტუსაღის სიმღერა.**

—

დე, დამიხშონ დღის სინათლე,
ბორკილები გამიყარონ,
ვერ ვპოვებდე მოსვენებას—
ჩემი ტანჯვით გაიხარონ!

—

თუნდ საკანში ჩამამწყვდიონ,
ჩამიკეტონ მაგრათ კარი,
ვერ ვხედავდე მზეს და მთვარეს,
ვეგდო, როგორც ცოცხალ-მკვდარი;

—

არ შემეძლოს ჩემს მეგობარს
ძმურათ ხელი გავუწოდო,
როს შიმშილით სულს ღაფავდეს—
ლუკმა პური მივაწოდო;

—

განმაშორონ მაშვრალთ მხარეს,
ჩემ სამშობლოს და ჩემს ტოლსა,
გრძნობით ყელს ვერ ვეხვეოდე
ჩემ სატრფოს და გულის სწორსა;

—

დე, მაწამონ სასტიკ ტანჯვით,
დე, ეს იყოს ბედისწერა,
ბრძოლის წყურვილს ტანჯულ გულში
ვერ ჩაჰკლავენ, ვერა, ვერა!

—

სანამ ოდნავ სული მიფეთქს,
არ შემწყდარა სისხლის დენა,
ბრძოლის სურვილს მიორკეცებს
იმედი და მტკიცე რწმენა.

—

დე, დამიხშონ დღეს სინათლე,
ჩემის ტანჯვით გაიხარონ—
გამოჩნდება შრომის დროშა...
ქედი უნდა მოიხარონ!

**დ. მეჩონგურე.**

მეტეხის ციხე. 18 დეკ. 1906 წ.

—

## თავისუფლება

(ლეგენდა)

ისეთი კაშკაშა, ნათელი ღამე იყო, როგორც ბედნიერ შეყვარებულ ის გული.

ვარსკვლავებით მოჭედილი, ტყვის ფერი ცის კამარა ისეთი მომხიბლავი, მომჯადოებელი იყო, როგორც თავისუფლება.

ზღვის სიო და მთა-ველთა სურნელება ისე ულიტინებდა ადამიანის გულს, როგორც პირმშო სიყვარული.

კრიშნა კი, დიდებული, ღმერთთა-ღმერთი კრიშნა, საგონებელს მისცემოდა:

—„მსოფლიო ბობოქრობს... ადამიანი თავისუფლებას ითხოვს“ო—მოუტიტინა მას ენატანტალა შიკრიკმა—ცელქმა ნიავმა.

— უგუნური!—წარმოსთქვა კრიშნამ—ღმერთი ვარ, ღმერთა ღმერთი... თავისუფალი კი არც მე ვარ!—კრიშნას სახეს შარავანდედად სევდის ღრუბელი შემოეფინა. იგი დადუმდა. თვალნი მისნი არაქვეყნიურ გრძნეულებას აკვესებდნენ. მისი კუშტი, მაგრამ ლმობიერი სახე დაფიქრებით გადასცქეროდა ძირს, მის ფეხქვეშ გადაშლილ მსოფლიოს, ზურმუხტ კორდ-ველებს, ფირუზად ამოზიდულ ქირნახულებს, ზღვის უსაზღვრო სარკეს, რომლის ზედა-პირზე ურიცხვი გემი დასრიალებდა.

ხალხი კი მინდვრად და კარმიდამოზე, მოედანსა და ქოხმახებში ფუსფუსებდა, ღელავდა, ბობოქრობდა.

კრიშნა მისჩერებოდა ამ ხალხთა ბრბოს, მის ფორიაქს, ფაცურს;—უცბად სახე გაუბრწყინდა, მომაკვდავთათვის მიუწდომელი, ღვთაებრივი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე... რა ღვთიურმა შემოქმედებამ მოჰბერა მის სულს, რამ გადაუყარა სევდის ღრუბელი?—მხოლოდ მისმა ღვთიურმა შორსმჭვრეტელობამ უწყოდა:

— მიევლინოს ქვეყანას თავისუფლება!—ბრძანა კრიშნამ.

მაღალის მთის წვეროდან მოსხლტა სიო, ნიავის ფრთები გამოისხა, გამოჰქროლა, თოვლის ნაფლეთები გადმოაბნია მიდამოს, ჩამოიჭრა ძირს, ველად, ააშრიალა მცენარე-ყვავილები, კუდრაჭა ბუჩქნარები, გაახალისა მოჩუხჩუხე წყარო და მთელს სამყაროს მიუსისინა კრიშნას დასტური.

გაიღიმა მთამ, ამოიქშინა ქვეყანამ, ახმაურდა ველი.

მთელს სამყაროზე გაისმა სიმღერა, ღრიანცელი, ყვირილი, შემოძახილი: კრიშნას დასტურს დღესასწაულობდა მსოფლიო, თავისუფლების შესაგებებლად ემზადებოდა ყოველი არსი.

უსაზღვრო იდუმალებით მოცულმა ცამ პირი ქნა, იჭექა მეხმა, ღედამიწა ინძრა და ჰექა-გრგვინვით ამოჰხეთქა ოხშივარის მსგავსი, მგრძნეული ძალა. იგი, ცით მოვლენილ, ბამბის ქულასავით სპეტაკ ღრუბლებში გაეხვია და დაეშვა ძირს, ცოდვილ ქვეყანაზე, მზეთუნახავ ქალის სახით.

სპეტაკი იყო იგი, ვით ბროლი მთისა, თეთრი-როგორც ყირმიზი, ნაზი-როგორც ყვავილი ლოტოსისა, მომხიბლავი-როგორც ოცნება-სიზმარი, მტკიცე-როგორც პიტალო კლდე, კუშტი-როგორც მებრძოლის გული.

მის დანახვაზე ბევრი შეკრა, თვალთ დაუბნელდა, ბევრს ნეტარების ცრემლი თვალზე გადმოეკიდა.

— ვინ მიწოდებს მე?—შეეკითხა **თავისუფლება**. სიჩუმე იყო. მისმა მტკიცე ხმამ ბევრის გული აალახლახა. ბევრს გრძელი ენა დაუმოკლდა, სასას მიეკრა.

— ვინ არის თქვენში უფრო ღირსეული ჩემთვის?—შეეკითხა კვლავ **თავისუფლება**.

— მე ვარ, ტურფავ, მე!—გაუბედავათ წარუდგა ბაყბაყდევი, თან ქვეშევრდომთ თვალები გადმოუკარკლა. სახით ადამიანსა ჰგავდა. იმის ხმაზე საჭურისნი სისხლის წყურვილმა აიტანა. დაელრიალდა ხმალ-კაპარჭი, ალმასის ხიშტები **თავისუფლების** ელვარებაზე ლაპლაპებდა.

— დასაბამიდვე მე ვარ ქვეყნად ბატონ-პატრონი მსოფლიოსი,—განაგრძო მან—მე ვარ უფალი ამა ქვეყნისა, დარჩი ჩემთან, რასაც კი მთხოვ, ჩაფხუტის მეტს, ყველას მოგიძღვნი—ევედრებოდა ბაყბაყდევი;—დარჩი ჩემთანა!

**იგი** კი იდგა კუშტათ, მდუმარეთ, მედიდურათ.

— იქნება ჩემი სრა-პალატა ეამოს თქვენს თვალს?.. განთქმული კრეზი აჩრდილია ჩემსა წინაშე, მე ვარ ალმასი და მარჯვენა ბაყბაყდევისა, მთელი სამყარო სათამაშო ბურთია ჩემთვის... დარჩი ჩემთან, მაგ სპეტაკ შუბლს ოქროს გვირგვინით დავამშვენებ... ძვირფასის ქვებით

იხით მოსვლისათანავე მამასახლისმა დიდის მოიწვია სოფლის ყრილობა და რუდგინა შემდეგი მოთხოვნილებები:

1) ყველა სოფელში შემოსასვლელ ზებში აუცილებლათ იყოლიონ ყარაულები, რომ უცხო პირი (სოციალისტები) ოფელში არ შემოგვეპაროს.

2) ვისაც გრძელი თმა აქვს უეჭველათ დღესვე გაიკრიჭოს.

3) საღამოს ექვს საათის შემდეგ, ყველას სოფელში სიარული აეკრძალოს. (სამხედრო წესები გამოაცხადა!).

4) მამასახლისის ჯამაგირი და ოთხი მისი სტრაჟნიკის (სტრაჟნიკები მას მოყვნენ). რვაასი მანეთი, დიმიტრი ციციშვილის ნადელის, ტყის და საბალახოს ექვსასი მანეთი, დაუყონებლივ შემოტანილ იქნას.

5) ყველამ, დიდმა და პატარამ, ვინც შემხვდეს გზაში, გაჩერდეს და ქუდი მომიხადოს.

ამ მოთხოვნილობის აუსრულებლობაზე მამასახლისი დაემუქრა ცეცხლითა და მახვილით განადგურებას. მრავალ მაგალითებით დაშინებულმა ხალხმა გაყიდა, რაც ხელში მოხვდა და მოთხოვნილი გარდასახადები გარდაიხადა და დანარჩენის აღსრულებასაც შეძლებისადაგვარად შეუდგა. გამოცხადების შემდეგ გავიდა რამოდენიმე დღე და, დახე, მამასახლისის განცვიფრებას, როდესაც მას შეეხეჩა გზაში სამოცდა-ათი წლის მოხუცებული და 10-12 წ. ბავშვი, რომელთაც მათდა საუბედუროთ ორივეს გრძელი თმა ჰქონდა. მამასახლასი ფიცხლავ გადმოხტა ცხენიდგან, დაუძახა მახლობელ მცხოვრებს, მოატანინა მაკრატელი და ორივეს საციმბირო კაცსავით ნახევარი ნაწილი თმისა გაკრიჭა, თითო პანღური მისთავაზა და გაუშვა. მაკრატლის შოვნა ცოტა გაუჭირდა მამასახლისს, და რომ ხელი არ შეშლოდა მეორე დღესვე იყიდა კაი მოგრძო მაკრატელი და სადაც წაბრძანდება თან დააქვს და ვისაც დიდ თმიანს თვალს შეასწრობს აჩერებს და ნახევარ ნაწილს კრეჭავს. (ამის მაგალითები ბევრია, თუ საჭირო იქნება წარმოვადგენ ვისაც ძალით გაკრიჭა თმა.)

ამ დღეებში მამასახლისი ქსნის სადგურზე ბრძანდებოდა. იქ ერთ გძელ თმიან ყმაწვილს შეხვდა საუბედუროთ მაკრატელი სახლში დაეიწყებოდა, ძალიან იჯავრა მამასახლისმა თან ამბობდა: „**Ахъ, жаль, жаль, что ножницъ не взялъ!**“ მასთან უბრძანა მხლებელ სტრაჟნიკს, აუცილებლათ მუდმივ იქონიოს მაკრატელი*). მამასახლისის გულკეთილობა გაიგო თუ არა ჩვენმა ბრწყინვალე წოდებამ, გაიხსენეს რაც ძველი ცოდვები ქონდათ და ვინ რას უჩივის გლეხებს და ვინ—რას. ერთ ამისთანა საჩივარს დღეს აქვს ადგილი ამ სოფელში. თ-დი ი. ციციშვილი უჩივის სოფლელებს, რომ ვითომც გასულს წელში ?ისთვის გლეხებს წაერთმიოს ათასი მანეთის ნივთები- მამასახლისი სასტიკათ შეუდგა მომჩივნის დაკმაყოფილებას და ნაწილი ამ ფულებისა ექვსასი მანეთი, უკვე ჩააბარა ციციშვილს და დანარჩენს, იმედია, ადრე ჩააბარებს. ცემაშიც ძალიანი დახელოვნებულია ბ-ნი მამასახლისი. ამ დღეებში გალეშილი მოვიდა კანცელარიაში და მორიგე გზირს მოსთხოვა: ჩქარა ქალი მომიყვანეო; როდესაც უარი მიიღო, უმოწყალოთ სცემა საბრალო გზირს. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია. მაგრამ ჯერ ეს ემცნოს ქვეყანას. რამოდენიმე პირის სამარცხვინოთ უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან ცუდათ იქცევიან ის პირები, (სახელს და გვარს შემდეგ გამოვაცხადებ), რომელნიც ყოველდღე მამასახლისთან არიან და სხვადასხვა ამბავს უზიდავენ მას, რითაც სარგებლობს ჯალათი და მუსრს ავლებს ისედაც აწიოკებულ-დარბეულ ხალხს... ამას ჩვენში უბრალო ენით „ჯაშუშობა“ ქვიან.

**„ობოლი.“**

*) მამასახლისმა თავის აგენტათ, გძელ თმიანების გამოსარკვევათ დაიყენა ქვრივი ალექსანდრა ციციშვილისა და მისი შვილი, რომელნიც ტყობილობენ ვის აქვს გძელი თმა, აგებინებენ მამასახლის და ეს უკანასკნელი იბარებს კანცელარიაში და კრეჭავს. ამ პატივცემულმა მანდილოსანმა ისახელა თავი რეაქციის დროს. სულ იმის უკიჟინებს ქალებს, რომ იძახცდით გათენდა, აბა, ეხლა მოვიდეს თქვენი ახალი თაობათ.

## ხელოსან-მუშათა შესახებ.

(პატარა შენიშვნა) *).

დღეს მუშა ხელოსნებს ბევრი გულშემატკივარნი აღმოგვიჩნდნენ, რასაკვირველია, სიტყვით, და საქმით კი ალლახმა უწყის. აი საქმე რაშია: გაზ. „ისრის“ მე-23 ნომერში მოთავსებულია ბ. გ. თოიძის წერილი ამ სათაურით: „ხელოსანთა საყურადღებოთ“! თუმცა ამისთანა წერილებს, როგორიც არის ბ. თოიძის წერილი, დიდი ხანია, რაც ლილახანა წაუხდა და მაგრე რიგათ გასავალიც აღარ აქვთ, განსაკუთრებით, მუშა-ხელოსნებში, მაგრამ მაინც არ იშლიან ზოგიერთა ვითომ-და ხელოსანთა გულშემატკივრები და კვლავ აცხობენ თავიანთ დიპლომატიურს წერილებს მუშების თვალების ასახვევათ. მაგრამ მათი ცდა ამაოა. მე არ ვეთანხმები ბ. თოიძის აზრს და მინდა ორიოდე სიტყვით დავაფასო მისი წერილის ღირსება და ჩემი აზრი და შეხედულება გამოვსთქვა, მით უფრო, რომ თითონ ბ. თოიძე გვიწვევს ხელოსნებს, რომ ჩვენი აზრი და შეხედულება გამოვსთქვათ ჩვენს დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხზე.

ბ. თოიძის აზრით, თურმე ეს ორი წელიწადია, რაც მუშა-ხელოსნებს თავზე დასტეხოდეს უსაქმურობა და სულს უხუთავდეს, განსაკუთრებით დურგლებს, კალატოზებს, მებუხრეთ, მეთუნუქეთ და სხვათ... რასაკვირველია, რომ არც სხვა პროფესიის ხელოსნები ყოფილან კარგს ყოფაში, და აი ამის მიზეზათ ასახელებს ბ. თოიძე, რომ ეს ორი წელიწდია, რაც თბილისში შენობების საქმეები შედგა და ადგილ-მამულის პატრონებს ველარ გაუბედნიათ კვალინდებურათ სახლების აშენება, რადგან გამოურკვეველ მდგომარეობაში არიანო.

ესე იგი, ვთქვათ, ბურჟუა-კაპიტალისტებს ველარ გაუბედნიათ კვალინდებურათ, რომ ერთი-ორად ზედ-მეტი ღირებულება შეაქმნევინ·ან და ტყავი აძრონ მუშა-ხელოსნეს; რადგან დღეს მუშა-ხელოსნებმაც შეიგნეს თავისი ძალა და თვისგან შექმნილ ღირებულებას იმდენს ველარ დაუთმობენ ბურჟუა-კაპიტალისტებს, რასაც აქამდის უთმობდენ და ეყვლეფინებოდნენ. აი, რა ყოფილა, ბ. თოიძევ, რომ ადგილ-მამულების პატრონებს ველარ გაუბედნიათ მუშა უზომოთ ამუშაონ და ზედ-მეტი ღირებულობა შეაქმნევინონ.

და, აი, თურმე რა ყოფილა შენობების აუშენებლობის მიზეზიც, და არა ის, რაც ბ. თოიძეს ჰგონია!.. ნამდვილათ კი უმუშევრობის მიზეზი არის თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება, მასთან რუსეთის რევოლუციონური განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორია და პოლიტიკური რეაქციაა და მასთან დიდი პოლიტიკური კრიზისებია,.. აი, რა არის უმთავრესი მიზეზი მუშა-ხელოსანთა უსაქმურობისა, ბ. თოიძევ! არამც თუ ჩვენში, არამედ მთელს რუსეთშიაც დღეს ასეთი უსაქმურობაა, დღევანდელ რეაქციონურ პირობების მეოხებით. მაგრამ მაინც არ იშლის, ბ. თოიძე და გვიმტკიცებს და ამბობს, რომ ადგილ-მამულების პატრონებმა, არ იციან ვინ როგორ ამუშაონ და ხელოსანი როგორ დააკმაყოფილონო; ეს კი სწორე გითხრა, ბატონო თოიძევ, გადაჭარბებულია, არ ცოდნაა, ხაზეინების მხრივა როგორ! ხაზეინებმა არ იციანო.

საწყალი, ადგილ-მამულის პატრონებმა, არ იციან, ვინ როგორ ამუშაონ; მე კი ვიტყვი, რომ—ხაზეინებმა კარგად იციან მუშა როგორ ამუშაონ, და აი როგორ: ისინი, ესე იგ იადგილ-მამულის პატრონები უცდიან თავისთვის უკეთეს დროს, რომ მუშა ხელოსანი უფრო მეტს გაჭირვებაში ჩავარდეს უსაქმურობისაგან. აი, სწორეთ რომ, ამ მუშის გაჭირვებულ მდგომარეობით უნდათ ისარგებლოს ადგილ-მამულის პატრონმა და მან მას უწოდოს კარგი პირობებიც, და მაშინ დაიწყოს შენობების აშენებაც. თურმე ბ. თოიძეც ამას ამბობს,—უსაქმურ მუშათაც სამუშაო გაუჩნდებათო.

საწყალ ადგილ-მამულის პატრონ-ხაზეინებმა მითომ-და არ იციან, რადგან გაჭირვებულ უსაქმურად დარჩენილ მუშას ხაზეინი უფრო იაფად ამუშავებს და იაფხელფასით გაკეთებული შენობაც იაფად დაუჯდება და ეს ხომ მათთვის, ადგილ-მამულის პატრონებისთვის, დიდად სასარგებლოც იქნება. საწყალ ხაზეინებმა არ იციან, ვინ როგორ ამუშაონ, ბ. თოიძე კი, გვარწმუნებს რომ ხაზეინებმა არ იციან და გამოურკვეველს მდგოიარეობაში არიანო. სიწყალი ხაზეინები! სწორეთ, რომ ამ შემთხვევაში, (ბ. თოიძეს შეხედულებით), ადგილმამულის პატრონები თურმე დიდათ შესაბრალისნი ყოფილან და ხაზეინთან, მუშები—ხელოსნები აბა რა შესაბრალისნი არიანო!?. სწორეთ რომ ბედნიერი იქნება მუშა, რადგან ზემოხსენებულ პირობებში, (ბ. თოიძეს აზრით), მუშას ყოველთვის სამუშაოც ექნება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მუშამ სამუშაო ქირა, ხელფასი არ ასწიოსო, —(ბრძანებს თოიძე)...—და განაგრძობს: სასურველი არ იქნება, სამუშაო ხელფასის აწევა, რადგან ფასებს აწევით ადგილ—მამულის პატრონები იზარალებენ და დაგვიფთხებიან და მუშა ხელოსანსაც სამუშაო აღარ ექნებაო!.. არა, ბ. თოიძევ, ტყუილად თავს ნუ იწუხებ და შუამავლობას ნუ ეწევით ხელოსან და ხაზეინთა შორის. დღეს ორთავეს, ხაზეინს და მუშას კარგად ესმით თავიანთი ინტერესები... და ამას დღევანდელი კაპიტალისტური ხანაც ხელს უწყობს, რომ,—პირველათ, ხაზეინი იმის ცდაშია, რაც შეიძლება მუშა მეტი ამუშაოს და ნაკლები ხელფასი მისცეს და, მეორე, მუშა კი იმის ცდაშია, რომ, ადამიანურ პირობებში, ნაკლები დრო იმუშაოს და მისი ნამუშევარიც ღირსეულათ ჯილდოვდებოდეს...

ასე და ამ რიგათ დღეს ცხოვრება ბრძოლაა და ამ ბრძოლის ველზე დგას ორი მოპირდაპირე მტერი; ეს ორი მეომარი ერთმანეთს ებრძვის, ეომება, მინამ ან ერთი არ დამარცხდება, და ან მეორე, ამ ომში კი, ვინც გამარჯვებული გამოვა ცხოვრებაში, მძლავრი უფლებაც მასა რჩება და თავის უფლებასაც ისე ხმარობს, როგორც თითონ მოისურვებს. ჯერ კი ძალა ქონებრივი ხაზეინის ხელშია. სწორეთ ამ ნაირათაც იქცევიან დამქირავებელი დაქირავებულებთან დღევანდელ კაპიტალისტურ ხანაში. ხაზეინები, თუნდა ასე ვთქვათ, ადგილმამულის პატრონებიც, ასე ირჯებიან: რაც შეიძლება, მუშა ხელოსანი გაჭირვებულს მდგომარეობაში

*) რედაქცია ამ წერილს შეუცვლელათ ბეჭდავს. რედ.

---

მოვფენავ შენსა ფიანდაზს... ჩემთან დარჩი! —შეჰღაღადებდა ახალი კრეზი და, მადა-ღძრულს, ნეტარების ნერწყვი მოადგა

ბაყბაყდევის სპამ მრისხანებით შეჰხედა კრეზსა, დარაზმულ ჯარმა იარაღი დაუღრიალა.

**იგი** კი იდგა კუშტათ, მდუმარეთ, მედიდურათ.

— მე ვარ ბურჯი ქვეყნაისა. მთელი მსოფლიო ჩემს ქედზეა დამყარებული. ბაყბაყდევი, ეს ჯარი-სპა, მთლათ ეს ხალხი და ჯამაათი ჩემ სისხლსა სწოვენ, საზრდოობენ ჩემის ოფლითა... მსხვერპლად მიიღე ჩვენი შრომა და გარჯილობა, დარჩი ჩვენთან, ოღონდ მიწას, დედა-მიწასნუ მოგვაშორებ!—შესთხოვეს სხვებმა.

იგი კი იდგა კუშტათ, მდუმარეთ, მედიდურათ.

—მთელს სამყაროზე ტლუ, ეული მაწანწალა ვარ. არ დამიტოვა მამა-პაპამ სრაპალატები. დიდი ხანია დედამიწის გულს მომაშორეს. მდევი გვბატონობს, კრეზი ძარღვენს მიეზიდება, ეს დოყლაპია ჯარი და სპა მუქთახორობენ! მარჯვენის მეტი არაფერი არ გამაჩნია! აჰა, მარჯვენა, ჰა სიცოცხლეც, დარჩი ჩემთანა.. შენს ფიანდაზად, დეე, სისხლი ღვარად მდიოდეს!

მიჰმართა მას ახალგაზდა ჭაბუკმა. მისი სახე და ხელები გამურულიყო.

თავისუფლებას სანეტარო შუქმა გადაჰკრა. მას გაეღიმა ღვთაებრივის სიხარულითა: „ჰპოვა ჭურჭელი, ჰპოვა იგი მტკიცე, მძლავრი, შეუპოვარი და გაუღიმა:

— ღირსეული მხოლოდ შენა ხარ! ჰა, შენთანა ვარ!—და ჭაბუკსა გულში ჩაეკრა:

— შენთან როცა ვარ, ყველასთან ვარ განუყოფელი!

მთლათ აიმრიზა და აზვირთდა მუნ ტალღა ბრბოსი.

— ვინ? მაწანწალა? ტურტლიანი ეს ვიგინდარა?—გაისმა ზეწოდ გოროზი ხმა ბაყბაყდევისა.

კრეზიც გაცოფდა, სიბრაზისგან კვერთხი მოხარა!

— შეჰკარით მალე და ციხეში გამოამწყვდიეთ!—ჰსჭექდა მრისხანეთ ბაყბაყდევი.

— ეხლავ მოჰკალით საზიზღარი და მეტიჩარა—ურჩევდა კრეზი.

შეინძრა ხალხი, შეტორტმანდა, თავგზა დაებნა. ბაყბაყდევისა ვეზირებმა სუნთქვაც შეიკრეს.

ხალხი კი, ხალხი, ვით ცხვრისა ფარა, მიყუჩდა მალე, გაიტერინა და... მიეფარა!

მას მერე გაქრა ქვეყანაზე **თავისუფლება**, ვარდაიხვეწა ცხრა მთას იქით, შორეულ მხარეს, სპეტაკ მანტიის მაგიერად ძაძა მოისხა და მიეფარა... მიეფარა სხვა არე-მარეს...

ხოლო ხანდისხან, ვით იმედი, ვითა ნუგეში, ვით მოვლენილი სასოება მებრძოლთ გულისა, ჩამოეშვება მალვით ქვეყნად, დაჰხედავს გმირებს, შორეულს მხარეს, ცივს ქვეყნებში გარდახვეწილებს, და შებორკილებს, ბნელს საკანში გამომწყვდეულებს...

— ამიერიდან—ბრძანა კრიშნამ—თავისუფლებას ციხეში აქვს წმინდა ტაძარი!

**ნარკანი.**

ჩააყენონ, რომ მუშის გაჭირვებით ხაზეინმა უფრო მეტი ისარგებლოს, ერთის მხრივ მუშა, მეტი ამუშაოს, რომ მას დრო არა ჰქონდეს მოფიქრებისა და გონების განვითარებისა, მეორეს მხრით, ნაკლები ხელფასი მისცეს, რომ ნახევარჯერ მშიერი ამყოფოს და ამით გონების მოძრაობაც შეუსუსტოს და ბნელში ამყოფოს, რომ ხიზეინებმა, მუშები მუდამ თავის მონა—მორჩილად გახადონ. აი, ხაზეინებს რა უნდათ... ბ. თოიძე კი ბძანებს, რომ ხელფასების მაღლა აწევა სასურველი არ არისო... თორემ—გვაშინებს ბ. თოიძე: გადაჭარბებულის ფასებით ადგილ-მამულის პატრონები დაგვიფთხებიან; ჩემი აზრით კი ნათლათ ამტკიცებს ზემოდ მოყვანილი ფაქტები, თუ რა უნდათ ხაზეინებს და მუშებს, დღევანდელს პირობებში. და ეს ორივე მხარესთვის დღესავით ნათელია... რაც შეეხება კავშირებს, ბიუროს, 8 საათის საქმეს, და ხელფასის და ხელოსნის ავკარგიანობას და სხვა ამგვარებს, ამისთვის უკვე თბილისში არსებობს მრავალი პროფესიონალური კავშირები, და მასთან კავშირების ცენტრალური საბჭოც. ჩვენის მხრით ვურჩევთ ბ. თოიძეს, თუ აგრე მოუსურვებია კავშირების შედგენა, სჯობია უკვე შემდგარ კავშირებს მიმართოს და იქ ...ით გონებრივი დახმარება აღმოუჩინოს, და მოწხოლოდ გვიკვირს კი, რომ ბ. თოიძე, როგორც ვიცით, თბილისში ცხოვრობს და აქამდინაც ვერ გასცნობია პროფესიონალურს კავშირებს.

**დურგალი.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

...რასკევს, ოცდა სამს თებერვალს ადგილო... ს. დ. ორგანიზაციის მეხუთე რაიონის კო...ტში—ყველა იაჩეიკების თითო წარმომად...ის თანა დასწრებით დისკუსია იყო გამართული. ბალშევიკურ პოზიციის დამცველათ ბოლშევიკურ ბიუროსაგან მე ვიყავი გაგზავნილი. თუ როგორ პირობებში გვაყენებენ—ჩვენ ბალშევიკებს. ამ „დისკუსიებზე"—ეს კრება ამის ტიპიური მაგალითია.

მენშევიკ დოკლადჩიკის შემდეგ მე წავაყენე კონტრ-დოკლადი, რის გამოც მასთან ერთად უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნოდა. დოკლადების შემდეგ ილაპარაკა ექსმა თუ შვიდმა მენშევიკმა,—მათ შორის სამმა საკმაოთ გამოცდილმა დისკუსანტმა, რომლებსაც მენშევიკები ყველგან თამამათ მიანდობენ თვის პოზიციის დაცვას. ერთმა მათგანმა ორჯერაც აიღო სიტყვა. ერთმა რეგლამენტით დადგენილ დროზე მეტი ილაპარაკა თავმჯდომარის დამშვიდებულ მეთვალყურეობით. ერთი სიტყვით მენშევიკური პოზიცია ისე სრულათ და სავსებით იქნა გამორკვეული, რომ პირველმა დოკლადჩიკმა უარიც კი განაცხადა უკანასკნელ სიტყვაზე,—ამდენ ორატორების შემდეგ „თითქმის" სათქმელი აღარა მაქვს რაო. როცა კი ჯერი ჩვემზე მოდგა—უცებ თბილისის კომიტეტის წევრისაგან შეტანილ იქნა წინადადება: რადგანაც გვიანღა არის (ათის ნახევარი კი იყო) ამხ. ბოლშევიკმა ხვალ ილაპარაკოსო. რამდენიმე ამხანაგი—წინააღუდგა ამ წინადადებას; მე პროტესტი განვაცხადე, მაგრამ თავმჯდომარემ, საჩქაროთ, ვიდრე კითვა გამოირკვევოდა, წინადადებას კენჭი უყარა და კრებამ გადასწყვიტა დაშლა. რამდენმამე ამხანაგმა მოინდომა კითხვის ხელ-ახლა განხილვა, კიდეც ილაპარაკეს—ვიღაცამ შენიშნა: ამაზე მეტს ხომ არ ილაპარაკებდა ბალშევიკიო—მაგრამ თავმჯდომარემ ისევ თვისი „ძალა უფლებით" კრება დახურულათ გამოაცხადა. განმარტება მეტათ მიმაჩნია.

---

## დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22—23 თებერვალი

### სახელმწიფო სათათბირო

**პეტერბურგი.** სოციალდემოკრატების პარლამენტარულ ფრაქციამ წერეთლის თავმჯდომარეობით დაადგინა: უარი განაცხადოს მემარცხენეთა ბლოკის ინფორმაციონულ ბიუროში მონაწილეობის მიღებაზე და დაიცვას სრული უფლება სხვა ფრაქციებთან შეთანხმებაზე კითხვების დროს და ყოველ შემთხვევაში გამოარკვიოს შეთანხმების ფორმები.

ყველა პარლამენტარულ ფრაქციებში 22 თებერვლის დღემ ჩაიარა მწვავე სჯაბაასში, 23 თებერვალს დუმის პრეზიდიუმის არჩევის გამო.—სახალხო სოციალისტებმა, ტრუდოვიკებმა და სოციალ-რევოლიუციონერებმა შეიმუშავეს ულტიმატუმი, ისინი მისცემენ ხმას ჩელნოკოვის (კ. დ.) სეკრეტრათ არჩევნის კანდიდატურას, იმ პირობით კი, რომ მემარცხენეთა ბლოკს მიეცეს ორი ადგილი თავმჯდომარის ამხანაგისა. კანდიდატებათ წამოაყენეს ბერიოზონი და პოზნანსკი. სოციალდემოკრატებმა სრულიათ უარჰყვეს თავიანთი კანდიდატების წამოყენება და კადეტების და მემარცხენეთა ფრაქციების შეერთებულ სხდომაზე მონაწილეობის მიღება. ზომიერებმა და მემარჯვენეებმა თავმჯდომარის ამხანაგის კანდიდატებათ დაასახელეს კაპუსტინი და რეინი,—სეკრეტრათ ვარუნ-სეკრეტი, ამასთანავე გამოსთქვეს ის აზრი, რომ მემარცხენეთა შორის უთანხმოების გამო, მისცემენ ხმას კადეტებს, თუ უკანასკნელნი მხარს დაუჭერენ კაპუსტინის კანდიდატურას, სადამოთი შესდგა შეერთებული კრება კადეტებისა და მემარცხენეებისა, გარდა სოციალდემოკრატებისა, რომელმაც გასტანა შუაღამემდის და შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა. ცენტრალური კომიტეტი და კადეტების პარლამენტარული ფრაქცია შეიკრიბნენ ღამის სხდომაზე, სადაც გადასწყვიტეს დაუთმონ მემარცხენეთა ბლოკის მოთხოვნას, ხმა მისცენ ტრუდოვიკ ბერიოზინს და უპარტიო მემარცხენე პოზნანსკის თავმჯდომარის ამხანაგების კანდიდატურას. ეს გადაწყვეტილება საბოლოო განსახილველათ გადაეცემა კადეტების ფრაქციის საგანგებო კრებას, 23 თებერვალს დილით. დადგენილება ეცნობება მემარცხენეებს და ამის შემდეგ გაიხსნება დუმის სხდომა.

**პეტერბურგი.** ოთხ საათზე სხდომა განახლდა. ბარათებით ასახელებენ სეკრეტრის კანდიდატებს: ჩელნოკოვი—375. ბარათით, ვარუნ-სეკრეტ-66, ივაშჩენკო—6, სხვები და მათ შორის კრუშევანს—თითო. კენჭის ყრაზე თანახმაა პირველი სამი. როდესაც თავმჯდომარე შეეკითხა კრუშევანს: თანახმაა, თუ არა კენჭი იყაროს, მემარცხენენი ყვირიან: „ვსთხოვთ". კრუშევანი ხმა მაღლა აცხადებს: „მე ხუმრობა არ მიყვარს".—დუმის სეკრეტრათ ამოირჩიეს მოსკოვის გუბერნიის დეპუტატი ჩელნოკოვი—კადეტი, 379 ხმით, —85 წინააღმდეგ. ვარუნ-სეკრეტმა მიიღო 117, ივაშჩენკომ 64 ხმა. არჩევნების შედეგი მიიღეს ტაშის ცემით. მაკლაკოვი წინადადებას იძლევა სეკრეტრის თანაშემწის არჩევა გადასდონ ხვალისთვის. ბაასი მწვავდება. კრუპენსკი და კრუშევანი თხოულობენ დღესვე განსაზღვრონ სეკრეტრის თანაშემწეების რიცხვი. რადგანაც ეს გაუადვილებს ზოგიერთ ჯგუფებს იქონიონ ლაპარაკი შეთანხმებაზე. კრუშევანი უთითებს, რომ არჩევნებს ახდენს ერთი ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის უმრავლესობა, აქ მოლაპარაკება საჭირო არ არის, მაგრამ უნდა სიმართლის თვალით უყუროთ სხვა ჯგუფებსაც. დუმა, დიდის უმრავლესობით ყველა მემარცხენეებისა, ცენტრით და ნაწილით ოკტომბრისტებისა ივანშჩენკოს მეთაურობით წინააღმდეგია მემარჯვენეებისა და სწყვეტს სეკრეტრების რიცხვი განისაზღვროს ხვალ. მეორე სხდომა დანიშნულია დღის 11 საათზე. სხდომა დაიხურა 5 საათ. და 50 წუთს.

**პეტერბურგი.** თავმჯდომარის ამხანაგებათ ამორჩეულ იქმნენ ბერეზინი 345 ხმით 101 წინააღმდეგ და პოზნანსკი 349 ხმით 97 წინააღმდეგ. დანარჩენთაგან კაპუსტინმა მიიღო 107—337 წინ., რეინმა 91 353 წინ. ივანჩენკომ 61—383 წინამღმდეგ.

**პეტერბურგი** სახელმწიფო დუმის პირველი სხდომის შეწყვეტის დროს, სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ გადასწყვიტა დაუყონებლივ, პრეზიდიუმის არჩევის შემდეგვე, შეიტანონ წინადადება ამნისტიის აუცილებლობაზე. მეორე შეწყვეტის დროს, კადეტების პარტიამ სცნო, რომ ამგვარი გამოურკვეველი განცხადება, მხოლოთ ხელს შეუშლის კითხვის სისწორით დასმას და გადასწყვიტა სთხოვოს დუმის თავჯდომარეს, რომ დუმიი შინაგან კონსტრუციის მოხდენამდის არ დაუშოს არავითარი კითხვების აღძვრა. მესამეთ შეწყვეტის დროს, კადეტების გადაწყვეტილებას მიემხრნენ ტრუდოვიკები, საპალხო სოციალისტები და სოციალ-რევოლიუციონერები, რომელთაც მიმართეს თავმჯდომარეს კადეტების ანალოგიურ განცხადებით. სოციალ-დემოკრატები მაინც და მაინც მოითხოვდნენ, რომ მათი განცხადება მოჰხსენიბოდა დუმას.

მეტისმეტ აღელვებულ დებატების შემდეგ, სოციალ-დეიოკრატიულმა ფრაქციამ დახურულ სხდომაზე გადასწყვიტა უკანვე დაებრუნებინა შეტანილი წინადადება ამნისტიის შესახებ. კამათის დროს ლიტვალებმა განაცხადეს, რომ ისინი ეყოფიან ს. დ. ფრაქციას და უერთდებიან სახალხო სოციალისტებს. ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის დამოკიდებულება იქამდე გამწვავდა, რომ მთელ სოციალდემოკრატიის ფრაქციას დუმაში სრულ დარღვევას უქადის.

**პეტერბურგი.** პოდოლის, მინსკის და ვიტებსკის გუბერნიების გლეხთა დეპუტატებმა შეადგინეს დამოუკიდებელი პარლამენტარული ჯგუფი ზომიერ უპარტიო გლეხებისა, რომელსაც მიზნათ ექნება ჩამოაშოროს გლეხთა დეპუტატები მშრომელთა ჯგუფს და ს. დ. ფრაქციას. ჯერჯერობით ახალ ჯგუფში ჩაეწერა 32.

**პეტერბურგი.** უფრო გონივრათ მოქმედების მიზნით ზომიერებისა და მემარჯვენეების პარლამენტარულ ფრაქციამ შეადგინა ცალკე განყოფილებანი: ორგანიზაციული, პროპაგანდული, ფინანსიური, სეკრეტარიატი ვარუნ-სეკრეტარის გამგეობით და ბეჭდვის ბიუროსი პურიშკევიჩის მეთაურობით.—ზომიერებისა და მემარჯვენეების ჯგუფი პეტერბურგში ხსნის კლუბს. შენობა დაქირავებულია და ბესარაბის ცენტრის პარტია მოწყობას შეუდგა. ეპისკოპოზ პლატონის ინიციატორობით ზომიერებისა და მემარჯვენეების ფრაქცია იმუშავებს კანონ-პროეკტს სინდისის თავისუფლებაზე.

### სასამართლო.

**პეტერბურგი.** პეტროზავოდსკის „ოლონეცკი კრაი" რედაქტორ-გამომცემელს 129 მუხ. ძალით პალატამ გადაუწყვიტა 6 თვით ციხეში ჯდომა. გაზეთი სამუდამოთ დაკეტეს.

„ნაშა მისლის" რედაქტორი და გამომცემელი, რომელთაც ბრალსა სდებდნენ 129 მუხ. დარღვევაში—სასამართლომ გაამართლა, გადაწყვეტილება გაზეთის შეჩერებაზე შესცვალეს.

**პეტერბურგი.** სენატმა შესცვალა გადაწყვეტილება „პრიზივის" გამომცემელ რედაქტორის აზნაურობის საქმის გამო, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ორი წლით კრეპოსტში ჯდომა, საქმე ხელახლათ განსახილველათ გადაიცა.

**კოვნა.** მეშკოვსკიმ და იაბლონსკიმ, რომელთაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ციხის ზედამხედველის მოკვლის გამო, ხელმწიფეს მიმართავს თხოვნით პატიებისთვის. 21 თებერვალს გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც მეშკოვსკის სიკვდილით დასჯა შეუცვალეს უვადო კატორღით. ამას წინეთ კი მთელი მხრის უმთავრეს უმფროსმა, სერგიაკოვენსკის ეპისკოპოზის და კოვენსკის გუბერნატორის შუამდგომლობით, იაბლონსკის სიკვდილით დასჯა შესცვალა უვადო კატორღით.

### თავდასხმა და მკვლელობა

**პეტერბურგი.** პაბიანცის ახლოს გაძარცვეს ვაჭარი, რომელსაც მიქონდა ლოძში 2000 მან. ფართლეულობა. ბოროტგამზრახველებმა წაიღეს საქონელი, ფული, და ურემი ცხენებიანათ.—ვარშავაში სახემწიფო რეალურ სასწავლებელში ვიღაც ბოროტგამზრახველმა დირექტორის ოთახში ყუმბარა შეაგდო. ყუმბარამ იფეთქა, მაგრამ არავინ დაუშავებია.—ეკატერინოსლავის გუბერნიის სლავიანოსერბის მაზრაში, შეიარაღებული ბრბო დაეცა ლოზოვო პავლოვის ფოსტის კანტორას, მოკლეს დარაჯი და დასჭრეს მოხელე. ფოსტალიონმა მოკლა ორი ბოროტგამზრახველი და რამდენიმე დასჭრა. დანარჩენი გაიქცნენ. იპოვნეს ყუმბარა. ფული სრულათ არის.

**კერჩი.** სახლის პატრონის ვალსამოვის ოთახში, ღამით მოკლეს მისი შვილი და მათთან სტუმრათ მოსული 14 წლის ქალი, თითონ დედა მძიმეთ არის დიჭრილი. მკვლელები გადახტდნენ ღია ფანჯარიდგან მუშებისა და გოროდოვოის თვალწინ და მიიმალნენ.

**ეკატერინოსლავი.** დოლგოლოვკიშ მამულში გოროდოვოის კუზნერიოვის სახლის ახლო იფეთქა ყუმბარამ. არავინ დაჭრილა.

— ამ დღეებში სოფ. პერმძსში, ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვეს სახელმწიფო არყის დუქანი გაიტაცეს 129 მან. და მიიმალნენ.

**სევასტოპოლი.** გენერალ ნეპლიუევის სროლის დროს დაჭრილ 16 წლის ქალს, სმოლიანსკის ეჭვით ბრალდება თავდასხმაზე მონაწილეობის მიღება. თავდასხმის შემდეგ დატუსაღებული 4 კაცი გაანთავისუფლეს.

**პეტერბურგი.** ეკატირინოსლავში შეიარაღებულებმა გაძარცვეს ლოკშინის კანტორა. წაიღეს 200 მან.

— დაბა ვეპრინაში ინგუშ სტრაჟნიკებმა გლეხის ქოხში მოასწრეს აგიტატორს ხლეპკოს და მის ორ ამხანაგს. ხლეპკო მოკლეს და ორი ამხანაგი დაატუსაღეს, რომელთაგანაც ერთი წინააღმდეგობის გაწევის დროს დასჭრეს.

**ტვერი.** პერვიტენსკის ვოლოსტში პოლიციამ აღმოაჩინა გლეხებში სხვადასხვა იარაღი, მაუზერის თოფები, ხანჯლები და ხმლები.

**ვილნა.** მებულკეების ამხანაგობის კანტორაში შევიდა 7 შეიარაღებული, გაჩხრიკეს მოსამსახურეები. წაიღეს 38 მან. და მიიმალნენ.

### უნივერსიტეტის გახსნა

**ოდესსა.** სტუდენტების ცენტრალურ ორგანოს წინადადებით, საზოგადო სტუდენტთა ყრილობამ იქონია მსჯელობა უნივერსიტეტში მეცადინეობის განახლებაზე. ყრილობამ აღიარა, რომ ქალაქში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ვადასწყვიტა კენჭი უყაროს ამ საკითხს ფაკულტეტებში. ყველა ფაკულტეტმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გახსნან უნივერსიტეტი თავისუფალ მომსმენელ ქალ.ა ყრილობამაც დაადგინა განიახლონ მეცადინეობა.

---

რედაქტორ-გამომც. მ. კვაჭაძე.

სტამბა „საქმე" მიხაილოვის პრ. № 40.